

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის მიხედვით

- სააღრიცხო პოლიტიკა და სააღრიცხო შეფასება
- განმარტებითი შენიშვნები
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
- საქმიანობის შედეგების ანგარიშგება
- კაპიტალის ბრუნვის ანგარიშგება
- ფულადი სახსრების ბრუნვის ანგარიშგება

გამოცემის თარიღი 6.05.2021

ქ.რუსთავი

➤ სააღრიცხო პოლიტიკა და სააღრიცხო შეფასება

საწარმოს დახასიათება

შპს ნიუ პლასტიკ ჯი (შემდგომში საწარმო) 2015 წლის 17 ნოემბრიდან დარეგისტრირებულია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 416322107 და ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, საქმიანობის სახე: პლასტმასის ფილების, ფურცლების, მილების და პროფილების წარმოება წარმოადგენს. საწარმოს ფაქტიური მისამართი არის ქალაქი რუსთავი მშენებელთა ქუჩა № 64. საქართველოს კანონის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ მიხედვით წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს

სააღრიცხო პოლიტიკა

საწარმოს ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით. ანგარიშგება წარმოდგენილია აღნიშნული სტანდარტის ხარისხობრივი მახასიათებლებით. ანგარიშგება მოიცავს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას, კაპიტალის ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს.

ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი

ანგარიშგება შედგენილია ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით, მიუხედავად ანგარიშგების პერიოდში ასახული ზარალისა, საწარმო ამ ეტაპზე ახორციელებს ბაზარზე შეღწევის და დამკვიდრების პოლიტიკას რაც გამოიხატება, მომხმარებელზე ორიენტირებული საჭიროებების შესრულებით და ბაზარზე ბიუჯეტური ფასის ოპერირებით, საწარმოს აქვს რესურსი არსებული სიმძლავრეებით ფინანსური სირთულეების დაძლევის. პერიოდულად ხდება საწარმოს დამფუძნებლების მხრიდან კაპიტალ დაბანდება. საწარმომ არსებითი ზარალი განიცადა ვალუტის კურსის გაუარესებით, თუმცა ფასის ინდექსაციით მოხერხდა ბალანსის აღდგენა.

pg. 1

შპს ნიუ პლასტიკ ჯი . ს/ნ: 416322107

E-mail: newplasticge@gmail.com

ადასტურებს დირექტორი ზაზა ოთარაშვილი :



➤ **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

	12/31/2019	12/31/2020
ფული და ფულის ეკვივალენტები	29,697.00	48,980.20
1.2 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	138,634.00	38,808.72
ნედლეული და მასალები	350,657.00	333,419.70
1.3 მზა პროდუქცია	129,134.00	104,857.54
სხვა საწარმოო მარაგი	4,898.00	4,055.10
სულ მიმდინარე აქტივები	653,020.00	530,121.26
მიწის ნაკვეთები	227,172.00	227,172.00
1.4 დაუმთავრებელი მშენებლობები	114,912.00	-
1.5 შენობები	583,585.00	702,141.72
1.6 ნაგებობები	130,525.00	114,170.55
1.7 მანქანა-დანადგარები	1,239,021.00	1,159,588.98
1.9 ტრანსპორტი	40,856.71	36,008.52
სხვა და სხვა აქტივები	11,108.35	11,329.00
სულ გრძელვადიანი აქტივები	2,347,180.06	2,250,410.77
სულ აქტივები	3,000,200.06	2,780,532.03
1.10 კრედიტორული დავალიანება მომწოდებლების მიმართ	(1,157,684.00)	(1,466,809.00)
კრედიტორული დავალიანება პერსონალის მიმართ	(16,471.00)	(13,868.09)
1.13 საქართველოს ბანკის ევროს სესხი	(580,920.00)	(601,463.39)
გადასახადები	(5,248.00)	(27,281.17)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	(1,760,323.00)	(2,109,421.65)
საწესდებო კაპიტალი - ჟაო ფულონგი	(662,876.00)	(662,876.00)
საწესდებო კაპიტალი - ზაზა ოთარაშვილი	(650,000.00)	(625,000.00)
გაუნაწილებელი მოგება	72,998.00	616,765.62
სულ კაპიტალი	(1,239,878.00)	(671,110.38)

1.2 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

საწარმომ მიუხედავად პანდემიური პერიოდისა, მოახერხა დებიტორული დავალიანების შემცირება და კონკურენციული ფასის შენარჩუნება.

1.1 მზა პროდუქცია

შპს პროდუქცია მოიცავს PPR, PVC პლასტმასის მიღებს, ფიტინგებს და პროფილებს, რასაც არ გააჩნია გაუფასურების მაღალი რისკი. 2020 წლის დასრულებული ფინანსური წლისთვის მარაგში ქონდა 45 097 მეტრი მილი 2 014 მეტრი პროფილი. საწარმო მარაგს აღრიცხავს ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესით.

მარაგების თვითღირებულებაში აისახება საიმედოდ შეფასებული დანახაჯები, კერძოდ მისი პირდაპირი შემადგენელი ნივთიერებები, ხოლო საწარმოო ზედნადები ხარჯები აღირიცხება პერიოდის ხარჯად.

1.4 დაუმთავრებელი მშენებლობა

საწარმომ 2020 წელს ექსპლუატაციაში გაუშვა შემდეგი შენობები:

№ 4 შენობა (სასაწყობო ფარეხები) - ექსპლუატაციაში შევიდა 2020 წლის 31 იანვარს ისტორიული ღირებულება - 22 809.13; საწარმოს მენეჯმენტის ემპირიული გამოცდილებით სასიცოცხლო პერიოდი განისაზღვრა 10 წელი.

№ 2 შენობა (ოფისი) ექსპლუატაციაში შევიდა 2020 წლის 31 იანვარს ისტორიული ღირებულება 74 606.41; საწარმოს მენეჯმენტის ემპირიული გამოცდილებით სასიცოცხლო პერიოდი განისაზღვრა 20 წელი.

№ 5 შენობა (საწყობი) - ექსპლუატაციაში შევიდა 2020 წლის 31 იანვარს ისტორიული ღირებულება - 33 873.57; საწარმოს მენეჯმენტის ემპირიული გამოცდილებით სასიცოცხლო პერიოდი განისაზღვრა 10 წელი.

შესაბამისად 2020 წლის დასრულებული პერიოდისათვის ეს მუხლი განულდა.

1.5 შენობები

	2019	2020
შენობა 5 (საწყობი) საწყობი	-	30,767.18
შენობა 2 (ოფისი)	-	71,185.03
N 4 შენობა (სასაწყობო ფარეხები)	-	20,717.41
N 6 შენობა /სპეციალისტების შენობა/	29,741	28,035.69
N 1 შენობა /PPR საამქრო/	173,874	164,530.67
ვაგონი 2 ცალი	-	-
N 3 შენობა /PVC საამქრო	379,970	386,905.73
ჯამი	583,585	702,141

ვაგონები სააღრიცხო მეთოდის საფუძველზე აღიარდა როგორც ნაგებობები 2019 წლის დასრულებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, საწარმო იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, ბალანსში აქტივები წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით.

1.6 ნაგებობები

	2019	2020
წყლის რეზერვუარი (ბასეინი)	7,870	5,639.84
ჭიშკარი / ცენტრალური /	-	6,772.59
წყლის სისტემა	16,402	15,460.77
საკანალიზაციო ხაზი	-	1,099.82
ღობე	11,988	11,328.38
ვაგონი 2 ცალი	33,608	23,792.20
ეზო	15,359	14,486.51
სატრანსფორმატორო ქ/ს 400 კვა	12,918	10,984.12
და სხვა ნაგებობები	32,380	24,606.32
ჯამი	130,525	114,170.55

ნაგებობების კლასში, ჯამურად შესულია 13 ერთეული აქტივი. მათზე ერიცხება ცვეთა წრფივი მეთოდით.

1.7 მანქანა-დანადგარები

	2019	2020
N 1 - პლასტმასის მილის წარმოების ხაზი	144,424	122,804.98
N 2 - შემრევი / მიქსერი	5,223	4,435.65
N 3 - შემრევი მიქსერი	6,703	5,694.49
N 4 - ყალიბები N 1	30,021	25,493.91
N 5 - ყალიბები N 2	8,959	7,609.30
N 7 - პლასტმასის ფიტინგების წარმოების ხაზი	42,761	36,405.13
ბოჭკოვანი ლაზერული მარკირების მანქანა	14,324	13,227.17
PVC ნედლეულის # 1 გადამამუშავებელი მრავალფუნქციური წარმოების ხაზი	151,680	134,999.59
PVC ნედლეულის # 2 გადამამუშავებელი მრავალფუნქციური წარმოების ხაზი	151,779	135,087.35
PVC ნედლეულის # 3 გადამამუშავებელი მრავალფუნქციური წარმოების ხაზი	183,204	163,056.85
PVC ნედლეულის - მრავალფუნქციური შემრევი # 1	46,818	41,668.92
PVC ნედლეულის - მრავალფუნქციური შემრევი # 2	46,818	41,668.92
და სხვა მანქანა-დანადგარები	13,923	77,511.00
PVC ნედლეულისათვის - წისქვილი	76,366	67,968.14
პლასტმასის ჩამოსასხმელი ყალიბი	57,838	51,476.98
36. 20 ფიტინგებისათვის ყალიბები (პრეს-ფორმები)	171,335	152,772.43
საყინულე FIC - 20 AB (მაცივარი პლ. პროფილებისათვის)	86,846	77,708.17
ჯამი	1,239,021	1,159,588.98

1.9 ტრანსპორტი

	2019	2020
ავტო.მანქ- MERSEDES-BENZ SPRINTER	18,432	15,206.86
(ავტოდამტვირთველი) სატვირთველი ჩანგლური სატაცით	22,425	20,801.65
ჯამი	40,857	36,008.51

1.10 კრედიტორული დავალიანება მომწოდებლების მიმართ

საწარმოს არ გააჩნია ვადებთან დაკავშირებული კონტრაქტუალური ხელშეკრულება დანადგარების მომწოდებლებთან. შესაბამისად მათთან დაკავშირებული ვალდებულებები არის მიმდინარე დავალიანებად აღრიცხული. მიმდინარე წელს გაცვლითი კურსის ცვლილებამ გამოიწვია ვალდებულებების ზრდა

1.13 საქართველოს ბანკის ევროს სესხი

საწარმოს 2020 წლის დასრულებული პერიოდისთვის სესხის ვალუტაში ღირებულება იყო 149495 ევროს ოდენობით. სესხის ძირის გაზრდა გამოწვეულია კურსის ზრდის გამო. ვალდებულებაზე საპროცენტო ხარჯების დარიცხვა ხორციელდება საკასო მეთოდით.

➤ საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

2020 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ამონაგები საოპერაციო საქმიანობიდან	977,252.45	
ძირითადი მასალების დანახარჯები		677,821.68
პირდაპირი ხელფასი		72,761.38
კომუნალური ხარჯი		80,198.14
შენახვის დანახარჯები		10,952.29
საერთო მოგება		135,518.96
ცვეთა და ამორტიზაცია		
შენობის ცვეთა		28,362.93
ნაგებობების ცვეთა		17,782.70
მანქანა-დანადგარების ცვეთა		147,336.94
ტრანსპორტის ცვეთა		4,848.19
სხვა და სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა		3,241.54
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები		33,116.29
ადმინისტრაციული საერთო ხარჯები		
შრომის დანახარჯი		82003.12
საგადასახადო შეღავათი	9174.5	
საკანცელარიო ხარჯი		936.3
კომუნალური ხარჯები		9454.67
ტრანსპორტირების ხარჯი		1104.23
აუდიტის მომსახურების დანახარჯები		3000
შენახვის დანახარჯები		877.02
ქონების გადასახადი		22572.56
პროცენტის და საბანკო მომსახურების დანახარჯები		20,572.71
ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან		313,251.88
პერიოდის ზარალი		543,767.62

2019 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ამონაგები საოპერაციო საქმიანობიდან

872,316

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება:

ძირითადი მასალების დანახარჯები

671,702

პირდაპირი ხელფასი

54,986

კომუნალური ხარჯი

81,587

შენახვის დანახარჯები

335

საერთო მოგება

63,706

ცვეთა/ამორტიზაცია:

შენობის ცვეთა

19,335

ნაგებობების ცვეთა

16,000

მანქანა-დანადგარების ცვეთა

128,747

ტრანსპორტის ცვეთა

4,832

სხვა და სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა

5,620

მიწოდების არგები

8,239

ადმინისტრაციული საერთო ხარჯები:

შრომის დანახარჯი

44,226

საკანცელარიო ხარჯი

2,707

კომუნალური ხარჯები

8,202

ტრანსპორტირების ხარჯი

5,664

მივლინების ხარჯი

5,754

ხარისხის სერტიფიკატის ხარჯი

4,380

შენახვის დანახარჯები

1,981

ქონების გადასახადი

16,493

საგადასახადო და სხვა ჯარიმები

2,769

სხვა ხარჯები:

ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან

10,497

პროცენტის და საბანკო მომსახურების დანახარჯები

48,040

პერიოდის წმინდა ზარალი

269,780

საქმიანობის შედეგების ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ამონაგები საოპერაციო საქმიანობიდან

საწარმოს ახდენს პლასტმასის სამშენებლო საქონლის რეალიზაციას. საქონლის მიწოდებით სრულად გადასცემს კლიენტს მიწოდებულ საქონელზე პასუხისმგებლობას და არ გააჩნია საგარანტიო ვალდებულება. 2020 წლის რეალიზაციის ზრდა გამოწვეულია ინფლაციის გამო

2. ადმინისტრაციული საერთო ხარჯები

საწარმოს პანდემიიდან გამომდინარე შეეხო საშემოსავლო გადასახადის შეღავათი, ასევე ამ წელს საწარმომ დაასრულა აწარმოვა საქართველოს პროექტის ფარგლებში დაკისრებული ვალდებულებები RSM Georgia-ს აუდიტორული დასკვნის საფუძველზე, რაც ასახულია საქმიანობის შედეგებში გამოყოფილად.

3. 2020 წლის კურსთა შორისი ზარალი

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტაა ლარი, ვინაიდან საწარმოს დანადგარების დავალიანება და საქართველოს ბანკის სესხი უცხოურ ვალუტაშია, კურსის გაუარესებამ არსებითი ფინანსური ზარალი ასახა საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში

➤ კაპიტალის ბრუნვის ანგარიშგება

საწესდებო კაპიტალი	12/31/2019	12/31/2020
ქაო ფულონგი	(662,876)	(662,876)
ზაზა ოთარაშვილი	(650,000)	(625,000)
გაუნაწილებელი მოგება	72,998	616,765
განმარტებითი შენიშვნები		

საწარმოს მეწილეები არიან, 60%-ით ჩინეთის მოქალაქე ქაო ფულონგი (პ/ნ: E02707434) და 40%-ით საქართველოს მოქალაქე ზაზა ოთარაშვილი (პ/ნ: 25001003062), საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ზაზა ოთარაშვილმა კრების ოქმის საფუძველზე, საწესდებო კაპიტალიდან გაიტანა 24.06.2020 თარიღით 25 000 ლარი.

➤ ფულის ბრუნვის ანგარიშგება

	12/31/2019	12/31/2020
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	101,657	422,117
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(395,654)	(99,826)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	36,928	(135,254)
სავალუტო კურსის ეფექტი	(14,856)	(167,754)

2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებას ამტკიცებს და გამოსცემს
შპს ნიუ პლასტიკ ჯის გენერალური დირექტორი ზაზა
ოთარაშვილი.

გამოცემის თარიღი 06.05.2021

ზაზა ოთარაშვილი

